



გაზეთი გაეშალა
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამტრედიის

N24 (9204)

31 აპრილი, 2016 წელი

ფასი 50 თეთრი

მტკნარად გავიხსენოთ სხსნულად პრესულად სხსნულად რაღა გინდეს



3



2



გამგებელი სოფლის თავკაცების გააქტიურებას მოითხოვს

“გზას ყველგან ლავაგები”

ყვინფეცის სწავლებით გამოცდილებას მიღწევს



7

ასე გინდა მეცხარის გზაში ლაუკადა

“პოეზია უნდა
გახდეს უფრო
და უფრო
პოლიტიკური
და მკითხველსაც
მაშინ იშოვოს”



9

ლია წეხილი
საქართველოს პარლამენტის წევრობის
(მაჟორიტატის) სამსახურულ
ქანდაცებს

6

ბაღია და ახსნა-განმარტობები საარსებო პირობები



გამგებელი სოფლის თავკაცების გააქტიურებას მოითხოვს

6060 ნაწილაკი

ვალერიანე ფოცხვერია ტერიტორიულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს მითითებებს არც მომდევნო ტრადიციულ თათბირზე აკლავდა. მუნიციპალიტეტის გამგებელი სოფლის თავკაცებს მეტი აქტიურობისაკენ კვლავ მოუწოდებს. ზაფხულის მიწურულს მუნიციპალიტეტის გამგებელი მიიხრევა, რომ სამტრედიის ტერიტორიულ ერთეულში მეტი კულტურული და სპორტული ღონისძიება უნდა ტარდებოდეს: “გული მწყდება, როცა ღანიში პირუტყვის საძოვრად ქცეულ სპორტულ მოედანს ვხედავ”. – ტრადიციულ თათბირზე გამგებელი ასეთი შინაარსის საჯარო განცხადებების გაკეთებას არ მორიდებია.



ვალერიანე ფოცხვერია სათითაოდ მოისმინა ინფორმაციები ცალკეული სოფლების სამოქმედო ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობაზე. მელაურში გამგებლის წარმომადგენელი შარშანდელთან შედარებით კმაყოფილებას ვერ ფარავს გზის მოხრეშვის სამუშაოების ხარისხით. სოფიო კვაჩიძის თქმით, მშენებელი ადგილობრივი მოსახლეობის გემოვნებას აკმაყოფილებს და საავტომობილო გზას ხარისხიანი ხრეშით ამელაურში დასრულებულია გარე განათება, დარჩენილია ადმინისტრაციული შენობის რემონტი.



სამუშაოებით კმაყოფილი არ არის ნაბაკეში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი. აღნიშნული სამუშაო, მართალია, ვადებში ჩაეტია, ვეფხია წულეისკირის განმარტებით ტემპს ხარისხი საკმაოდ ჩამოუვარდება.

დიდი ჯიხაიშის ტერიტორიაზე არსებულ ბაგა-ბაღებში სარემონტო სამუშაოები დაწყებულია. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით იჭრება საწრეტი არხი. მშენებლები წინააღმდეგობას უსუსტად აქ აწყდებიან, ვინაიდან “სოკარ ჯორჯია-გაზს” მრიცხველები სწორედ არხებში აქვს დამონტაჟებული. ნუგზარ ნუცუბიძე გაზის კომპანიას გაკეთებულ საქმეს უმაღლის, თუმცა სოფელში გამგებლის წარმომადგენლის აზრით, თხრილებში მრიცხველების დამონტაჟება თავიდანვე არასწორი იყო.

ლაღო სოხანეიშვილმა ტრადიციულ თათბირზე დაბა კულაშელის, კერძოდ, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის მობინადრეთა პრობლემა გაახმოვანა. ხშირმა წვიმებმა ადგილობრივებს სახურავის პრობლემა შეუქმნა, რისთვისაც დამატებითი ფინანსური ხარჯები გახდა საჭირო. დაბა კულაშის გამგებლის წარმომადგენელმა დახმარებისთვის ვალერიანე ფოცხვერიას მიმართა.

საჯავახოს თემში ბავშვთა რაოდენობა მატულობს. მიმდინარე სააღმშრდელი წელს საბავშვო ბაღში 45 ბავშვია მისაღები. შავლეგ თარგამაძე წინასწარ იჭერს თადარიგს, მშენებლის მხრიდან დაგვიანებულმა სამუშაოებმა სასწავლო პროცესის დაწყებას ხელი არ შეუშალს. ბაშის თავკაცმა 28 აგვისტოს სამტრედიელები მარიამობის ტრადიციულ ღელესასწაულზე მიიწვია.

“გზას ყველგან ღავაგები”

6060 ნაწილაკი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა რკინიგზის დასახლებაში დასრულებული ობიექტები დაათვალიერა.



რიონის, ჩოლოყაშვილის, კაკაბაძის (ყოფილი ბაუსკას), ნახატაურის დასახლებაში ბახტაძის ქუჩებზე, ჯამში 3200 კვადრატული მეტრი ასფალტბეტონის გზის საფარი დაიწყო. აღნიშნული პროექტები რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო ორგანიზაცია “ინდიო” ასრულებდა.



ხარისხის შესამოწმებლად ვალერიანე ფოცხვერიას იმ დღეს თან ახლდნენ მოადგილეები დავით ბახტაძე და მამუკა თავაძე. ქალაქში გამგებლის წარმომადგენელი თენგიზ ცაგურია, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია.

სამუშაოების დათვალიერების პარალელურად ხელისუფლების წარმომადგენლებმა ადგილობრივი მცხოვრებლების საუბრები მოისმინეს. უმრავლესობა კმაყოფილებას ვერ ფარავს ბოლო პერიოდში მათ დასახლებაში შესრულებული სამუშაოებით. “ნახალოვკელებს” განსაკუთრებით მოწონებულნი არ არიან ახარებთ. სამომავლოდ მოსახლეობა კომპანოურის სასაფლაოზე მისასვლელი გზის მოწესრიგებას ითხოვს, ასევე – მრავალბინიანი კორპუსების სახურავების მოწესრიგებას.



თენგიზ ცაგურია, ქალაქში გამგებლის წარმომადგენელი რკინიგზის დასახლებას ორმაგად გულშემატკივრობს, რადგან თავად “ნახალოვკელია” და იქაური პრობლემებიც მისთვის უფრო ცნობილი და მშობლიური: “ქალაქის ნებისმიერი უბანი ჩემი საზრუნავია, შეძლებისდაგვარად ვცდილობთ, ყველა დასახლებას მოვუვაროთ პრობლემები. მაგრამ ის, რაც “ნახალოვკაში” გაკეთდა, ბოლო ათეული წლებია, არ გაკეთებულა. მადლობას ვუხდით ადგილობრივ ხელისუფლებას ჩვენი დასახლებისათვის გამოჩენილი მზრუნველობის გამო”.

ვალერიანე ფოცხვერია დადებითად აფასებს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან პრობლემებში გარკვევის მიზნით ქალაქის სხვადასხვა უბნებში გასვლას: “მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მუდმივად საქმის კურსში ვართ, თუ რა პრობლემები აწუხებს მოსახლეობას ქალაქსა და სოფლებში, გასვლითი შეხვედრები და მეტი კომუნიკაცია გვიაძლეებს ცალკეული საკითხების გა-

დაწყებას. ძირითადად მოსახლეობა გზას, განათებას, წყალს და მსგავს ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას ითხოვს ჩვენგან და მიხარია, რომ ჯანდაცვის პროგრამამ იმდენად კარგად იმუშავა, ადამიანები უკვე სხვა მოთხოვნებზე გადაერთვებიან. მინდა, ვუთხრა სამტრედიელებს, რომ ჩვენ ეტაპობრივად გზას ვვლავან და ვაგებთ”.

საპრემიულო მორიბი სხდომა გამართა

23 აგვისტოს გამართულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას, როგორც წესი, საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა.

დღის წესრიგში დასმულ საკითხთა შესახებ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა შალვა არზუმანიანმა და იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა მანანა სირბილაძემ მოახსენეს.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის” 2016 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 დეკემბრის № 38 215 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვისას, საკრებულოს წევრმა (“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”) ბატონმა ავთანდილ თაღუმაძემ კითხვით მიმართა კულტურის ცენტრის დირექტორს ბატონ ვეფხია ნადირაძეს, თუ როდის მოეწეობა კულტურის ცენტრში კლიმატ კონტროლი, რათა დარბაზში ზაფხულსა და ზამთარში კლიმატ კონტროლი, რათა დარბაზში ზაფხულსა და ზამთარში კლიმატ კონტროლი არ იყოს ჯდომა, მანვე განმარტა, რომ სისტემა მთლიანად 33 000 ლარი ჯდება, რაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის მაინცდამაინც დიდი თანხა არაა.

მომავალი წლის ბიუჯეტში გაითვალისწინებთ. – იყო ბატონი ვეფხიას პასუხი.

ბატონი თაღუმაძის წინადადებას ბატონი ჯონი ახობაძეც დაეთანხმა.

ჩვენი მხრივ დავსმენთ, რომ მართლაც კარგი იქნება, თუ ეს წლების მანძილზე მოუგვარებელი საკითხი მოგვარდება.

საკრებულომ განხილულ საკითხთა ირგვლივ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო.

დღის წესრიგი ამოიწურა, გამდლობით მობრძანებისათვის! – დაემკვიდრა დარბაზს ბატონი ნუგზარ ჯამბურია.

ლიანა ბაგრაძე

უფასო პოლიტიკური რეკლამა

“ერთიან ნაციონალურ მოძრაობას” კვლავ მერაბ ჯანელიძე წარმოადგენს

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე “ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ” საკუთარ აქტივისტებს დეპუტატობის კანდიდატის წარსადგენად მოუყარა თავი. მოახლოებულ, ისევე როგორც გასულ საპარლამენტო არჩევნებზე “ნაციონალებს” მერაბ ჯანელიძე წარადგენს.

დასახელებულ კანდიდატს ღირსეულ სამტრედიელად იცნობენ ამ რაიონის მკვიდრნი. შეხვედრაზე არაერთი თბილი სიტყვა ითქვა მისი მისამართით. მასზე, და არა მარტო მასზე, ზოგადად პარტიის საარჩევნო პლატფორმაზე “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენლები, იმ დღის სტუმრები, დავით ბაქრაძე, სანდრა რულოვსი, ნიკა მელია და აკაკი ბობოხიძე საუბრობდნენ. მერაბ ჯანელიძის ყოფილმა პედაგოგმა ლიუდმილა სტურუამ თავისი სათქმელი თქვა კანდიდატის შესახებ. მოედანზე თავმოყრილი მხარდამჭერები დასახელებული კანდიდატის სასახელო საქმეებზე საუბრობდნენ და იმედოვნებდნენ, რომ მათი რჩეული კვლავაც ამ რეჟიმით გააგრძელებს შრომას მისი, და არა მხოლოდ მისი ამომრჩევლის საკეთილდღეოდ.

თბა. ბაგნაშვილი



უფასო პოლიტიკური რეკლამა

“გიორგი ჯიმუღელიშვილი სამტრედიელის ინტერესს დაიცავს”



23 აგვისტოს სამტრედილაში “ლეიბორისტული პარტიის” ლიდერმა საპარლამენტო არჩევნებში სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დაასახელა.

გიორგი ჯიმუღელიშვილი შალვა ნათელაშვილმა შეკრებილ საზოგადოებას მომავლის პარკში წარუდგინა.

შრომის პარტიის თავმჯდომარე

ემ თბილად მოვიტოხა სამტრედიელები, გამოთქვა იმედი, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში “ლეიბორისტები” სასურველ შედეგებს დაღებენ.

შალვა ნათელაშვილი დიდ იმედებს ამყარებს კანდიდატზე, რომელიც, მისი აზრით, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სამტრედიელების ინტერესებს დაიცავს.

პარტიის ლიდერის აზრით, “ლეიბორისტული პარტია” შექმნის დღიდან დაფუძნებული პედაგოგიაზე, განათლების ინტელექტის დაცვაზე: “ჩვენი ახალგაზრდების გაძლიერებაზე იყო მუდმივად ორიენტირებული შრომის პარტია. შესაბამისად 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კანდიდატებად ვასახელებთ პედაგოგებს, დღეს ჩვენ

ენ ხონისა და ვანის მაჟორიტარულ ოლქში მასწავლებელი, მაია ლიპარიძე წარადგინეთ, ხოლო სამტრედილაში ასევე პედაგოგს გიორგი ჯიმუღელიშვილს წარადგენთ. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი პედაგოგების ხელში, ასეთი დეპუტატების ხელში განათლება არ გახდება საფრთხი დაზღვევა და არ იქცევა მადანად. ამდენი სასწავლებლიდან გაფრთხილი სტუდენტი არ გვეყოლება. პარლამენტში უნდა იყოს, რაც შეიძლება მეტი სულიერების მსახური ადამიანი, არა ფულის ტომარა მილიონერ-მილიარდერები, რომლებსაც დღეს ჩვენ, ფაქტობრივად, ვხედავთ”.

ყოფილი და დღევანდელი ხელისუფლების კრიტიკის შემდეგ შალვა ნათელაშვილმა

ლეიბორისტული პარტიის პროგრამა წარადგინა, რომელიც ტრადიციულად სოციალურ სფეროსა და განათლების პრიორიტეტებზე არის დაფრთხილი.

შეხვედრის ბოლოს “სამტრედიის მაცნემ” კომენტარი სთხოვა “ლეიბორისტების” კანდიდატს, გიორგი ჯიმუღელიშვილს: “დღესდღეობით ვგაგვარ შალვა ნათელაშვილის პარტიის გვერდით და შეეცდები, ერთად ბრძოლით ხალხს მივცეთ სამუშაო ადგილები, უფასო განათლება და ჯანდაცვა. ყველანაირად გვერდში დაუდგები სამტრედიელებს, რათა სამტრედილა იყოს უკეთესი ქალაქი, ისეთი როგორცაც იმსახურებენ სამტრედიელები”.

ნინო ნახიტაშვილი

უპირველესობა საარჩევნო გემოვნების მიზნად

6064 ნახიტაშვილი

55. 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები აირჩია. შეგახსენებთ, რომ 4 აგვისტოდან 17 აგვისტოს ჩათვლით გამოცხადებული იყო უბნებზე დასანიშნი კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსი.

სამტრედიის 55-ე მაჟორიტარული ოლქის საზღვრებში 50 საარჩევნო უბანზე 300 ადგილზე 516 კონკურსანტმა გამოთქვა მუშაობის სურვილი.

17 აგვისტოდან 19 აგვისტოს ჩათვლით საოლქო კომისიამ მოქალაქეები გარკვეული კრიტერიუმებით შეარჩია. კერძოდ, უპირატესობები მიენიჭა საარჩევნო გამოცდილებას, საარჩევნო მოხელის სერთიფიკატს, საარჩევნო სოციალდამთავრებულ ახალგაზრდებს, სტატისტიკის მიხედვით, 55-ე მაჟორიტარული ოლქის 50 უბანში 10 სერტიფიცირებული, 3 საარჩევნო სკოლადამთავრებული ახალგაზრდა.



ომის მიმდინარეობის დროს ოლქის კომისიის წევრმა ინდივიდუალურად ხმა მისცა მათთვის სასურველ კანდიდატს.

სხდომის დამთავრების შემდეგ შეჯამდა თითოეული კონკურსანტზე მიღებული ხმების რაოდენობა და კომისიის 13-ე წევრის გადაწყვეტილებით ყველაზე მეტი ხმის მქონე თითოეულ უბანზე 6-6 კანდიდატი არჩეული იქნა კომისიის წევრად.

კობა სიხარულიძე, 55. 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

“არჩეული კომისიის წევრების სრული სია საარჩევნო უბნების მიხედვით და ინტერესებულ პირებს შეუძლიათ ნახონ საოლქო საარჩევნო კომისიის საინფორმაციო დაფაზე. ვისარგებლებ შემთხვევით და მიუვლოცავ გამარჯვებულ კანდიდატებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად არჩევას. მინდა, გითხრათ, რომ არჩევნები ჩატარდა მშვიდ, კონსტრუქციულ გარემოში. როგორც მოგხსენებთ, ოლქის 13 წევრიდან 6 დამოუკიდებელი წევრია, ხოლო 7 წარმო-



ადგენს პოლიტიკურ პარტიებს. მათ ყველამ მიიღო აქტიურად მონაწილეობა საუბნო საარჩევნო კომისიის შესარჩევ პროცედურებში. ჰქონდათ თავიანთი განსხვავებული, სუბიექტური აზრი, რაც გამოიხატა კონკურსანტების შესარჩევ პროცესში ხმის მიცემის პროცედურაში.

იყო გარკვეულ სუბიექტებზე უარი, იყო თანხმობა”.


29 აგვისტოს ჩათვლით 55-ე სამტრედიის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გაგრძელდა პოლიტიკური პარტიების მიერ დასანიშნი უბნის კომისიის წევრებზე საუბნოების მიღება.

ლია ნეხიცი

საქართველოს პარლამენტის წევრების (მაჟორიტატის) სამსახურიანი ხელშეწყობის

ლიანა გაბუნია

ძვირფასო მეგობრებო! ყოველი დღე, საათი, წუთი გვაახლოებს უდიდეს პოლიტიკურ მოვლენასთან – საპარლამენტო არჩევნებთან, რომელიც 8 ოქტომბერს გაიმართება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნისა და ხალხის ბედს მომავალი 4 წლის განმავლობაში. ბევრი საუბრით თავს არ შეგაწყენო, თუნდაც იმიტომ, რომ შესანიშნავად იცით, რეალურად რა ყოფაშია ქვეყანა, მოსახლეობის ამსოლოტური უმრავლესობა.



არცთუ შორეულ წარსულში არჩევნები ფორმალურად ტარდებოდა. ერთპარტიულ სისტემაში სხვაგვარად შეუძლებელიც იყო.

გვანახოვს, უთუოდ თქვენც გემახსოვრებათ, რამდენ სამტრედიელს მოეძალა სურვილი, ადგოდა ამბიციის, გამხდარიყო პარლამენტარი გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა საქართველო გახდა დამოუკიდებელი და პირველი მრავალპარტიული არჩევნები ტარდებოდა. რამდენჯერმე ჩატარდა მას შემდეგ საპარლამენტო არჩევნები.

ღრსეული სამტრედიელებიც გვყავდა ჩვენი ნების გამოხატვითად ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, მაგრამ თითოეულისაგან უფრო მეტს რომ ველოდით, ვიდრე სინამდვილეში მოხდა, ცხადზე უცხადესია.

მაგალითები? კი, ბატონებო!

სხვადასხვა დროს ვინ სამტრედიისთვის სარკინიგზო კვანძის ფუნქციის აღდგენას, ვინ მრეწველობის აღორძინებას, ჩაის რეაბილიტაციას, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებას, კულაშელ ებრაელებთან მჭიდრო, ორმხრივ თანამშრომლობას, მოტყუებული მეანბრეებისათვის თანხის დაბრუნებას, ვინ კიდევ რას და რამდენს გეპირდებოდა, ჩამოთვლა შეუძლებელია.

გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, აქვს კვანძის ფუნქცია სამტრედიას? აღორძინდა მრეწველობა?

ისევ არ იტაცებს ყოველ “გაგიჟებზე” რიონი უხვმოსავლიან მიწებს? რეაბილიტირებულია ქართული ჩაი?

დაუბრუნდათ შავი დღისთვის გადანახული ფული მეანბრეებს?

არა აქვს მნიშვნელობა, თქვენ, პარლამენტის წევრობის სამტრედიელმა კანდიდატებმა თქვენი სურვილით გადაწყვიტეთ დეპუტატობა, თუ ვინმეს კეთილ ნებას კეთილადვე დაეცაბულად (ცხოვრებაში, პოლიტიკაში ყველაფერი ხდება). მთავარია, არჩევნის წინ ისეთი დაპირებები არ გასცეთ, ასრულება რომ არ უწყრია, ამით თქვენც აიცილებთ თავიდ-

ან უხერხულობას და ხალხსაც ცოტათი მაინც დაუბრუნდება რწმენა.

პარლამენტი არჩევითი კანონმდებლობითი ორგანოა. სადაც არჩევნებია, იქ ანგარიშიც ბარდება პერიოდულად.

გავიხსენოთ, ბოლო 20 წლის მანძილზე რამდენ არჩეულ პარლამენტარს რამდენჯერ ჩაუბარებია ანგარიში ამომრჩევლისათვის!

რამდენჯერ გამოუთქვამთ სურვილი, ისევ განვლილი 20 წლის მანძილზე პარლამენტის წევრებს შეხვედროდნენ პედაგოგებს, ექიმებს, სოციალურად დაუცველებს, მედიის წარმომადგენლებს, ახალგაზრდებს!

რამდენად მოქნილად მუშაობდნენ პარლამენტართა წარმომადგენლობები რაიონში, მუნიციპალიტეტში ამ წლების განმავლობაში?

რაც იყო, იყო! როგორ იყო, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ!

სხვათაშორის, პარლამენტარის როლი და აქტიურობა არც მაშინ ყოფილა თვალშისაცემი, როცა სამოქალაქო ომის პოლიციონად იქცა სამტრედია.

სხვათა დანაშაულსა თუ ინერტულობაზე პასუხს სხვას არ სთხოვენ.

რას ველით ამჯერად არჩეული პარლამენტისა და სამტრედიელი მაჟორიტარისაგან?

პირველ ყოვლისა, იმ საკითხების მოგვარებას, რაც ხალხს აწუხებს...

ისევ მაგალითები, უფრო სწორად საკითხთა ნუსხა:

ხოინდან სამტრედიისაკენ მომავალი წყალსადენი მაგისტრალი გზადგება დაზიანებულია, იტბორება გარემო, რაც სამშენობო და სავალალოა ისაა, რომ მცირე დებეტის დროს ბინძური წყალი ისევ მაგისტრალში ხვდება, მოსახლეობას მიეწოდება და მასობრივი მოწამვლის დიდი ალბათობა იქმნება.

ხალხისათვის კვლავ მიუწვდომელია ბუნებისაგან ბოძებული გოგირდოვანი თერმული წყალი. არ იქნ-

ება ურიგო, თუ ვიზრუნებთ კურორტისათვის პირვანდელი სახისა და ფუნქციის რამდენადმე მაინც აღდგენაზე.

მომავალ 4 წელიწადში სამტრედიის ფაბრიკა-ქარხნები რომ არ (ვერ) დაიწყებს გუგუნს, ცხადია, მაგრამ, თუ ის მაინც მოხერხდება, რომ მცირე სიმძლავრის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღებისა და რეალიზაციის საწარმო გაიხსნება, რათა მოსახლეობამ ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი არ გადაყაროს და დაასაქონლოს, კარგზე კარგი იქნება.

გარე ვაჭრობის აქტივების ქუსლად ქვეულ პრობლემას ამ მოვაჭრეთა ეტაპობრივი დასაქმებით, თუ უშველით, თუ არა სხვა გზა ადარაა.

ახალგაზრდებიც რომ ბოლოს და ბოლოს უნდა გამოვსტაცოთ ქუჩას და მათი უმრეტი ენერჯია ქვეყნის სასიყვითელ მივმართოთ, ესეც საშური საქმეა.

არ (ვერ) იხსნება დღის წესრიგიდან ნაპირსამაგრი სამუშაოები.

როგორც აღვნიშნეთ, რიონი იტაცებს და იტაცებს უხვმოსავლიან

მიწებს.

ბევრად, ბევრად აღემატება ერთი საგაზეთო წერილის მოცულობას იმ საკითხთა ჩამონათვალი, რაც უშუალოდ თქვენს მხარდაჭერას, ძალისხმევას, თანადგომას, ჩართულობას საჭიროებს პარლამენტში თქვენი არჩევნის შემთხვევაში.

ორიოდე სიტყვით საერთოდ პარლამენტის ფუნქციასა და როლზე სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში.

რამდენჯერმე თქმულს გავიმეორებთ: სასურველია პარლამენტში ეკონომისტები იურისტ-სამართალმცოდნეები, პოლიტოლოგ-კონფლიქტოლოგები, ფსიქოლოგები სჭარბობდნენ სპორტისა და ხელოვნების წარმომადგენლებს. როცა ამას ვამბობთ, ოდნავადაც არავინ იფიქროს ვაკინებდეთ სახელოვან სპორტსმენთა, ხელოვნების მუშაკთა მიღწევებს. ხშირად, სწორედ ამ სფეროს წარმომადგენელთა მიერ გამხდარა ცნობადი ჩვენი ხალხი, ქვეყანა, კულტურა, ტრადიციები.

მრავალათასწლიანი სახელმწიფოებრიობის მქონე ერს არ გვესწავლება საპარლამენტო მუშაობის ან-

ბანი არც ერთი, თუნდაც მოწინავე სახელმწიფოსაგან, არც ერთი აღიარებული პოლიტიკური ძალისა და მისი წარმომადგენლისაგან. სხვისი არ ვიცი და მე, როგორც ჩვეულებრივი რიგითი ქართველი შეურაცხყოფილად ვგრძობ თავს პარლამენტის ნახევრად ცარიელ სკამებს რომ ვუყურებ მაშინ, როცა კანონმდებლობითი ორგანო მნიშვნელოვან საკითხებს იხილავს.

ვიცი, განა არ ვიცი ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ბევრი გაბრაზდება, ბევრიც ხმამაღლა თუ არა გულში მაინც იტყვის – ვისღა სჭირდება შენი რიტორიკა, იქნებთან ისეთებიც ვინც შემოგვიყურებებს კიდევ, მაგრამ მათ გვერდით, მათთან ერთად ვარ მეც (ჩვენც) ვინც ასე ფიქრობს და ასე აზროვნებს. ვისი ახალგაზრდობის წლებიც ფაქტიურად ლამაზ-ლამაზი დაპირებებით წავიდა. ვისაც აქვს ადამიანური უფლება ადამიანური ყოფისა, აზროვნებისა, აზრის გამოხატვისა.

ღია წერილს ჯერ წერილობითი პასუხით, მერე კი საქმით პასუხობდნენ არცთუ შორეულ წარსულში.

საქმეს რომ თავი დავანებოთ, წერილებზე წერილითაც არავინ პასუხობს ბოლო 10-15 წელია. (მედიის თავისუფლება მარტო იმას როდი ნიშნავს, ჟურნალისტს თავი არ გაუტეხონ და არ სცემონ).

თინეიჯერულ ასაკს კარგა ხანია გადასულს იმ საკითხთა ირგვლივ რომლებზედაც მოგახსენეთ, წერილობით პასუხს საქმიანი წინადადებები, საქმით პასუხი რომ მიჩვენია, ნამდვილად არ დავმალავ, ვაღიარებ.

ვისურვებდი მშვიდად, ჯანსაღი კონსურენციის პირობებში ობიექტურად ჩატარდეს 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები.

წარმატებებს ვუსურვებ ყველა ღირსეულ კანდიდატს, რომლებმაც თავი ხალხის სამსახურად გადადეს.

ზომიერებასა საჭირო

უდიდესი მიღწევა, პატივი, ეროვნული მეცნიერების უდიდესი გამარჯვება იყო 7 ათეული წლის წინ საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის დაარსება.

ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვით სამამულო მეცნიერების ცალკეული დარგების აღორძინების საქმეში ცნობილ ქართველ მეცნიერ-აკადემიკოსებს: ნიკო მუსხელიშვილს, ევგენი ხარაძეს, რაფიელ დვალს, ფერდინანდ თავაძეს, თეოდანე დავითაიას, აკაკი შანიძეს, მარიამ ლორთქიფანიძეს, ნინო ჯავახიშვილსა და სხვებს.

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსებიდან კარგა ხნის შემდეგ საქართველოში იმდენი აკადემია დაარსდა, თვლა ძნელია. იმთავითვე ცხადი იყო ისინი ვერც მნიშვნელობით, ვერც მეცნიერული პოტენციალით ვერ მივლენ დედა აკადემიის სიმალემდე, მაგრამ საოცარი და საკვირველი ისაა, რომ მაგანნი ისე არხეინად წარადგინენ საზოგადოებაში საკუთარ თავს აკადემიკოსებად, რომ არც ძარღვი უტოვებდათ და საყოველთაო გოცებასაც იწვევენ.

ყოველ ადამიანს თვითიერიტიყის, თვითცენზურის გრძობა-უნარი უნდა ჰქონდეს. ვერ უნდა გაგვიბედოს ვინმემ, გვაჩუქოს აკადემიკოსობა, არც ჩვენ უნდა მოვირგოთ ეს ტიტული ისე, თუ არც საკანდიდატო, არც სადოქტორო დისერტაცია არ დაგვიცავს და არც გადატრიალება (კარგი გაგებით) მოგვიხდენია მეცნიერებაში.

ისე სპორტული აზარტით მაინტერესებს, რამდენი აკადემიკოსია საქართველოში? თუ ასე გაგრძელდა, 5-6 წელიწადში საქართველოში ისეთი ადამიანები აღმოჩნდებიან უმცირესობაში აკადემიკოსობის გარეშე რომ დარჩნენ.

ზომიერებასა საჭირო!

ასე განვიხილავთ ბიზნის რეზიუმე ლაუარაძე

მამიაძე ანა

მისი სამართლებრივი ანგარიშები. ნიჭის სიდიდე, სულის მშვენიერება და ღვთიური სასწაულები შეფერვს იქ. ეს კლასიკური მუსიკის სამყაროა, მაგალითი ესთეტიკითა და შესაძლებლობებით.

“სტუდენტების დიდებულება ყველაზე ნათლად მუსიკაში გამოვლინდება”. – ბრძანებდა ვოიუგი, მისი მსახურება კი რჩეულია ხელოვნება. ჩვენი რესპონდენტიც რჩეულია, ვრძობები, აზრები, სიტყვები ლამაზ ბგერებად რომ მიაკვს მსმენელამდე.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი და ევგენი მიქელაძის სახელობის სამუსიკო სკოლის სიმებიანი განყოფილების გამგე, ქალბატონი მანანა ქანთარია სამტრედიელია, ცნობილი მათემატიკოსის, სერგო ქანთარიას ქალიშვილი. სწავლობდა რეინგის მე-13 საშუალო სკოლაში, რა თქმა უნდა, წარმატებით და ამიტომაც, შენგან კარგი ექიმი დაღვებოდაო, – ეუბნებიან ხოლმე თავიანთი ყოფილ მოსწავლეს პედაგოგები. მას კი, მუსიკოსი გამხდარიყო, ბავშვობიდან ჰქონდა გადაწყვეტილი. სხვაგვარად არც შეეძლო, რადგან, როგორც თვითონ დასძენს, კლასიკურ მუსიკასთან ერთად დაიბადა. მის სახლში, მელიქონი მამის წყალობით, ყოველთვის ისმოდა დიდი კომპოზიტორების მიერ შექმნილი საოპერო, სიმფონიური და ცალკეული ინსტრუმენტალური ნაწარმოებები კარუხოს, ჯილის, გობის, რუფოს, მარია კალასის, ოისტერაის, ჰეიფეცის, კრეისლერის, გლენ გულდის, რიხტერის, კოგანის და სხვების შესრულებით.

ბატონი სერგოს კოლექცია, რომელსაც ის რუდუნებით ჰქმნიდა წლების განმავლობაში, უიშვიათესი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში, მსოფლიოში კი, ალბათ, ათეულში შევიდვართო, – ქალბატონმა მანანამ. მომავალმა მუსიკოსმა ლაპარაკზე ადრე დაკვრა ისწავლა. 2 წლისა, რა მელოდიასაც მოისმენდა, თავის სათამაშო პიანინოზე აწყოდა. 3 წლისას კი სურვილი გაუჩნდა, ფორტეპიანო შეეძინათ მისთვის, აუომპანირება უკეთესად რომ შეძლებოდა. “თუ ბავშვების უმრავლესობა მუსიკით გატაცებას სიმღერით გამოხატავდა, მე ის ფორტეპიანოზე დაკვრით გამოვხატე. ნოტები მაშიამ, ნათელა ქანთარიამ მასწავლა, რომელიც მუსიკის მასწავლებელი გახლდათ. მამას არ ჰქონდა მუსიკალური განათლება, მაგრამ თითქმის ყვე-



მანანა ქანთარია

ლა ინსტრუმენტზე უკრავდა, ფორტეპიანოზე, გიტარაზე, ფანდურზე, მანდოლინაზე: განსაკუთრებით ოპერით იყო გატაცებული. მის კოლექციაში მრავალად არის აგრეთვე, წიგნები მუსიკის ლიტერატურის შესახებ. როცა შემდგომში სამტრედიაში ჩემი მეგობრები, პროფესორები მეწვეოდნენ, არ ჩავიჭრათ ბატონ სერგოსთან, ამბობდნენ, იმდენად ბევრ ინფორმაციას ფლობდა მამა მუსიკასა და მუსიკოსებზე. კლარნეტზე უკრავდა ბაბუაჩემიც. არც მას



მანანა ქანთარია და საერთაშორისო ფესტივალების მრავალჯერ ლაურეატი მამამ ობოლაშვილი

ჰქონდა მუსიკალური განათლება. დედა არ უკრავდა, მაგრამ ყველაფერი გააკეთა, წარმატებული ვყოფილიყავი”. – გვიყვება მანანა ქანთარია. 6 წლისა არ იყო იგი, დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში სასწავლებლად რომ მიიყვანეს. განსაკუთრებული სმენის გამო, დირექტორმა ოთარ შანიძემ ურჩია მშობლებს, ბავშვისთვის არა ფორტეპიანოზე, არამედ ვიოლინოზე დაკვრა ესწავლებინათ. პიანისტობაზე მეოცნებე პატარა, თავისი ჟღერადობით იმდენად მოხიბლა უცხო მუსიკალურმა საკრავმა, წინააღმდეგობა არ გაუწევია. ბატონი ოთარი ამაყობდა საუკეთესო მოსწავლით და არც ერთი დონისმიერა მანანას გარეშე არ გაიმართებოდა. სულ პატარა რესპონდენტი კონცერტების ლაურეატი გა-

ხდა. მესამე კლასში იყო, მარინა იაშვილის ხელმძღვანელობით თბილისის კამერულ ორკესტრთან ერთად გამართულ კონცერტებში მონაწილეობდა. ამის შემდეგ საქვეყნო აღიარებულ პიანისტთან, თინათინ გოგლაშვილთან ერთად დასავლეთ საქართველოს ქალაქებში სოლო კონცერტებს მართავდა. სამუსიკო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მანანა დიმიტრი არაყიშვილის სახელობის 1-ელ სამუსიკო სკოლაში ჩაირიცხა, შემდეგ მან თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გააგრძელა სწავლა.

“ის, რომ მევიოლინე გახდოდი, დიდი წვლილი ბატონ ოთარ შანიძეს მიუძღვის. იგი ნიჭიერი, ერუდირებული და მრავალმხრივი ადამიანი იყო. დომენტი შანიძის ხუთივე შვილს მოსკოვის კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული. მძები შანიძეების კვარტეტიც ყველასთვის ცნობილი გახლდათ. კონსერვატორიაში სწავლის დროსაც პროფესორ შოთა შანიძის კლასში ვსწავლობდი. ასე რომ, მილიანად შანიძეების აღზრდილი ვარ”. – გამოხატავს მადლიერებას.

დღეს მანანა ქანთარია აღიარებული მევიოლინეა, და არა მარტო საქართველოში. კამერული ანსამბლების კონცერტებით არაერთხელ მიუღია მას მონაწილეობა საზღვარგარეთ გამართულ კონცერტებში. პარალელურად მუშაობს მსოფლიო კამერულ ორკესტრში, რომელიც უამრავ ქვეყანაში მართავს კონცერტებს. პროფესიონალი მევიოლინე საქართველოს გარდა მასტერკლასებს საზღვარგარეთაც ატარებს, გერმანიაში, იტალიაში, ლიტვასა და ა. შ.

4 წელია, ხელმძღვანელობს ელისო ბოლქვაძის საერთაშორისო ფესტივალის მასტერკლასებს. მისი მიზანი საქართველოს რეგიონებში ნიჭიერი ბავშვების წარმოჩენა და ხელშეწყობაა.

ქალბატონი მანანას მეუღლე, ბატონი ოთარ ჩუბინიშვილი გამოჩენილი ჩელისტაა. საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, კონსერვატორიის სრული პროფესორი და სულხან ცინცაძის სახელობის სიმებიანი კვარტეტის წევრი. ქალბატონი მანანა მეუღლესთან ერთად, გარდა იმისა, რომ კამერული მუსიკის კონცერტებს მართავს, ასევე ორგანიზებას უწევს კამერული მუსიკის ფესტივალებს. კლასიკოსი მუსიკოსისთვის საყვარელი კომპოზიტორი მოცარტი. “მეუბნებოდა კიდევ ჩემი პროფესორი კონსერვატორიაში, შენ გიხდება ეს კომპოზი-

ტორი. ბავშვობიდან მიყვარდა გამორჩეულად. კიევისა და მოსკოვის კონსერვატორიების პროფესორიც აღფრთოვანებული წერდა თბილისის კონსერვატორიის იმჟამინდელ რექტორს, სულხან ცინცაძეს მისი სტუდენტის შესახებ: როგორც მან შეასრულა მოცარტი, ასე მხოლოდ მისი (მოცარტის) ქვრივი დაუკრავდა.

მუსიკალური მონაცემების მიუხედავად, წარმატებებისთვის მას იოლად არ მიუღწევია. ყოველივე გამუდმებული, თავდაუზოგავი შრომის შედეგია და ამასვე ითხოვს თავისი მოსწავლეებისგანაც. აზარტად ექცა, ნიჭიერი ბავშვების გამოვლენა და მათი გზაზე დაყენება. ამიტომაც, განსაკუთრებულ აქცენტს ის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე აკეთებს. აქვს ამბიცია, ყველაზე წარმატებული პედაგოგი იყოს, რისთვისაც არც დროს იშურებს და არც ენერჯიას. მისი მოსწავლეები ყოველთვის იმარჯვებენ სხვადასხვა კონკურსებში.

იგი ერთადერთი პედაგოგია საქართველოში, რომელსაც საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეები ჰყავს. მათი უმრავლესობა საზღვარგარეთ აგრძელებს სწავლას. ამჟამად “მისი პატარ-



მანანა ქანთარია (მარჯვნივ), ჩელისტი ოთარ ჩუბინიშვილი, პიანისტი ნათია ბერიაა

რები” ინგლისსა და გერმანიაში არიან სასწავლებლად მიწვეულნი. ამბობს, რომ საქართველოში ყველაზე მეტი ნიჭიერი ბავშვაა, რომელთაც ხელშეწყობა სჭირდებათ.

“თვითონ კულტურის სამინისტრო უნდა იყოს დაინტერესებული კლასიკური მუსიკის განვითარებით. სამწუხაროდ, ეს ასე არაა. კლასიკური მუსიკა ფართო საზოგადოებისთვის არ არის, იგი ერთეულებისთვისაა, მაგრამ მისი პოპულარიზაცია ქვეყანაში უნდა ხდებოდეს. მე გამიგია, რომ სამტრედიაში ოისტრახმა გამართა კონცერტი. ეს ძალიან დიდი მნიშვნელობის მოვლენაა... დღეს ვეხვეწებით სამტრედიელებს, ჩამოდი თბილისში კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად, რომ ვინც დაგინახოთ და მოგისმინოთ-თქო, მაგრამ სწორად ამის პირობები არ აქვთ. ბედნიერი ვარ, რომ უამრავ ქვეყანაში ვყოფილვარ და შემოიღია დაგარწმუნოთ, საქართველო, ალბათ, პირველ ადგილზეა ნიჭით, მოთხოვნით, მუსიკის სიყვარულით, მაგრამ ფინანსური მხარდაჭერის გარეშე, ძნელია რაიმეს მიღწევა. ასე რომ არ ყოფილიყო, მიადწევდნენ წარმატებებს საერთაშორისო არენაზე ისეთი დიდი მუსიკოსები, როგ-

ორებიც ლიანა ისაკაძე, მარინა იაშვილი, ლიზა ბათიაშვილი და სხვები არიან?! არის ქვეყნები, სადაც ფორტეპიანო თითო-ორი ოჯახში თუ დგას, ჩვენთან კი პირიქითაა. მუსიკის სიყვარული ჩვენს გენშია. ტრადიციულად, ნებისმიერი მუსიკალური საკრავი ყველა ქართულ ოჯახში მოიპოვებოდა. თუმცა დღეს ბევრი ნიჭიერი და იმედისმომცემი ახალგაზრდა პრაგმატულად ირჩევს სპეციალობას, რამდენად გამოადგება მუსიკოსის პროფესია ცხოვრებაში”. – აზრს გვიზიარებს ჩვენი რესპონდენტი.

ეამაყება, სამტრედიის №1 სამუსიკო სკოლა საქართველოში დღემდე ერთ-ერთ უძლიერეს სკოლად რომ ითვლება, სადაც მასტერკლასებს ყოველწლიურად თვითონაც ატარებს. ყურადღებას სამტრედიელ ბავშვებს იგი არც თბილისში აკლებს. ბათუმში გამართულ მასტერკლასებში კი აქაურ მუსიკოსებსაც იწვევს. მათ შორის წელს მევიოლინე რამაზ შენგელიაა, სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებული და ფოლკ-ჯგუფ “ლადის” წევრი, რომელიც ევგენი მიქელაძის სახელობის სასწავლებელში ჩაირიცხა.

ერთიც, ვიოლინო, რომელზეც ქართველი მევიოლინე უკრავს, 200 წლისაა. იგი უცნობი ოსტატის მიერ იტალიაშია დამზადებული. საინტერესოდ გვესაუბრება ჩვენი რესპონდენტი, ზოგადად, კლასიკურ მუსიკაზე, ფანში არსებულ ცვლილებებზე, თანამედროვე მუსიკალურ მიმდინარეობებზე, რომლებიც კლასიკურ მუსიკას “ვერ დაახიანებს”.

აღფრთოვანებულია სამტრედიის მუსიკალური წარსულით და ბაბუის ნამბობს აქ არსებული სასულიერო კესტრის შესახებ ჩვენც გადმოგვცემს. რომ შეიკრიბნენ არაპროფესიონალები და ისეთ რთულ ისტრუმენტებზე, როგორებიც ჩასახები საკრავებია, მუზიციერდნენ. თავის მხრივ, სამტრედიელებსაც ემაყვებთ მევიოლინე მანანა ქანთარია, პროფესიონალიზმისთვის, ფუძის სიყვარულისთვის, თანადგომისთვის...

მისი ხელები მზეს გჩუქნიან, მისი მუსიკა უსასრულოაა, სამყაროს უსასრულოა.

დიდი სიმჩქოვის ბინადახი

უოთა კაპაძე

ლოგოსის მსახური ფიქრის მასწავლებლები არიან. დარდობენ, სხვასაც ანადვლებენ. უყვართ, შეაყვარებენ. განისწავლებიან, შეამეცნებენ. სწამთ, არწმუნებენ... ანუ თუ ჭეშმარიტი მეთხველი ხარ (და არა "გადამეცნებელი"), უნებურად ემორჩილები ავტორს, როგორც აზრის დემიურს. "აღმადიანი ეტრფის სრულყოფილებას. სრულყოფილს კი ლეგენდა აყალიბებს და იგი ილუზიურ სინამდვილეში არ არსებობს" (აეკი ბაქრაძე). ვოფისაგან განსხვავებულ ამგვარ ლეგენდებს თავად ვქმნი, მაგრამ კი უზილავი დახმარებით. ...და ეს იდუმალი ქომაგი სიტყვაა, წრფელად ამოთქმული.



რომ ცხოვრებამ ისე ჩააარა, ვერ მოგიფერე. ერთხელაც ვერ მოგიფერე, როგორია საქსოვი ჩხირების ჩხვლეტა გულში, როცა მიფერარს. როგორია იმ ბიჭის თვალები, თმებს რომ მიწნავს, მისი ხმა, როცა ჩემს სახელს ამბობს, როცა მიცინის, როცა მხატავს. ვერ მოგიფერე, როგორია ჩემი გოგოობა, რადგან არსებობს უმკაცრესი გეოგრაფია, საქართველო-ისტანბული. ამანთები, მხოლოდ ფულადი, მონატრება, სიყვარული თეთრ კონვერტებში აღარ ეტყვა. ნუ დამირეკავ, დედი, მე ვერ გეტყვი, როგორია ჩვენი, თვალებში დედისწრილიჩამდგარი შვილების, მონატრება, რადგან ვიცით, სად გაავლო ზღვარი ცხოვრებამ, სად გაულის ვადა დედათა გულების მოთბინებას, ჩვენ ერთხელ გვიტორხვ, საძუდაძოდ დავიმხსოვრეთ, ჩვენივის წახვედით, რომ ჩვენ გვეჭონდა ჭრელა-ჭრულა ჩითის კაბები, წითელ-ყვითელი, მწვანე შარფები, წიგნები, შოკოლადები, მობილურები, რომ სამახსოვრო ყველა კადრი შემოგვენახა, როცა ჩამოხვალთ, ერთბაშად რომ გაქვენოთ ყველა. არ ავიწყდება გულს არაფერი და ჩვენც გვახსოვს, ჩვენც გვემისი, ჩვენი ბავშვობის ბენიერ დღეებს, შვილების ენდორფინებს შეწირული ქალები ხართ. ...მაგრამ მაინც, ნუ დამირეკავ, დედი, რადგან ხმა მონატრებას ირეკლავს. რადგან ერთ დღეს შეიძლება, გასკდეს გული ბოლოს და ბოლოს და გითხრა: რომ ერთი ჩითის კაბა გვეჭირდება, ერთი პერანგიც... და რომ სკოლაშიც ფეხშიშველნი ვივლით, თუ გვეყოფებით, თუ თქვენი ხელით გამოძევარ პურს შევჭამოთ. რომ ერთი კილო ფეხილი მთელ თვეს გვეყოფა, რადგან ერთი ნატეხი სიყვარული, ერთი ნამცეცვი დედის სიტობ ას კილო პურზე ბევრად მეტია. ნუ დამირეკავ, დედი, ვერ გეტყვი, რომ "პური ჩვენი არსობისა" დედის სიყვარულია, ძილის კართან _ თქვენი ზღაპრები, დილაობით კი _ სულზე ტკბილი თქვენი სიმღერა. რომ შეგვიძლია, თქვენი თმები გადავიფაროთ საბნის ნაცვლად და ისე გავთბეთ. რომ არსებობს სახლი, სადაც უთქვენოდ ყველაფერი ცარიელია, რომ ფუჭია ყველა საგნის სიმიდრე, რომ ზღვა ვეღარ იტევს ობლობის წვეთებს, რომ სამყაროც ობოლი ბავშვია, თუ შვილების სიმბრების მცველნი დედები არ არიან... ნუ დამირეკავ, დედი, ნუ დამირეკავ, რადგან შვილის მონატრებას სამყაროსხელა ცრემლები აქვს, ჩვენ კი გვახსოვს, ჩვენაირები არ ტირიან. რადგან ერთხელ გვიტორხვ, ჩვენივის წახვედით, გულს არაფერი ავიწყდება, ნუ დამირეკავ.

წერს, თუმცა ეკრძალებათ ნაკალმარის გამომწვევებს, მიიხრეს მარაგ კაუჭავილზე. მიუხედავად თავმდალობისა, თხონანზე, პოეტური გულისსახილი გაენდო, უარი არ უთქვამს. "...მიიტაცა სამოთხედ და ესმენს უთქუმელნი სიტყვანი, რომელ არა ჯერ-არიან კაცთა სიტყუად", - ბრძანებს პავლე მციციქელი (2 კორ. 12. 4). მარამაც "გამოუთქმელი სიტყვების" მსმენელი აღმოჩნდა, სათნოიანი ყურისმძვრობელი და იდეად "გარდამთქმელი" ვერლიბრით, ანუ თავისუფალი ლექსით.

ცხოვრების, რაც უნდა გაევივირდეს, სიდრემებიდან მოდის, "მას ასი წელი ებევერება, ათასებს ითვლის", მისთვის ცრემლის პურად ქცევის საიდუმლოა პოეზიით ცხოვრება, ხოლო თავად ცხოვრება ნიშნავს, იყოს ბალახივით გაწოდებული სიკეთისთვის, ამიტომაც ჩემს ნანატრ "ქალიშვილად" ვიგულებ, ჩემი ვაჟებისთვის კი - ძვირფას დობილად.



თავისუფალია ის არა ოდენ გრძობის ფურცელზე გადატანისას, არამედ ფიქრის, განცდის... დროსაც. ელვგი ური აღსარებასავეთ ხმაინობს სურვილი მატერიალურ სამყაროზე მიჯაჭვულობისგან თავის დაღწევისა. ღვინობისთვის 18 წლისა იქნება მარიაში, მისი სათქმელი კი, რამდენადაც უჩვეულო უნდა იყოს, "უფროს დაუნჯებული". დღეს იგი "ქებით ხვდება მზეს" - ერთ დიდ ამომავალ ფერს, რომელიც ლაპარაკობს, შეერწყმება სააქოს... სამყაროს, სადაც "აღარც სიხარულია, აღარც ტკივილი და საერთოდ აღარაფერი, მხოლოდ ნეტარება, ადამიანურ ენაზე - სიყვარული".

თუმცა მუდამ იგრძნობა მაინც ბავშვურ, ფაქის სტრიქონებში გაზიარება იმ სიხარულსა, ტკივილზე ამდლებას რომ ახლავს, მარცხებს მისი დათმენილი, ფრესკული ემოციები. გაიმბობს ათასგზის განცდილზე და მაინც უჩვეულოდ პირადულზე, იმავდროულად გრძობს, როგორი ჭირისუფალი ყველაზე უბრალოსა

ბუნებით ესთეტი, ლია სტურუას თქმისა არ იყოს, "სინატიფემისჯილ" მოწაფეზე შთავონებით გვესაუბრება ფილოლოგი მაია ლორია: "მოდერ-შეგირდის ერთობასა თუ ურთიერთობას მუდამ ახლავს რაღაც განსაკუთრებული, იდუმალი ძალი, მაღლი, ალბათ, ბეწვის ხიდე სიარულის გამო. თუ მშობლისთვის შვილი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია, ჩემთვის სულის ნაწილია ბავშვი - მოსწავლე, მე მათ ჩემი სულის უფირფასეს ნაწილს ვამდე, სხვაგვარად წარმოუდგენელი მგონია, ასწავლო ქართული ენა და ლიტერატურა და თუკი ეს შეგირდი მარიაშია! და უფაღმა გიწყოლობა სულის კონგენიალური - პოეტი შეგირდად - ეს ბენიერებაა. მადლობა მას მონატრებული ჩემი გავეთილებისათვის, იმ სხვა თვალისა და სხვა გულისყოფისთვის, რომელიც ღვთისგან ეობა, რომელიც სიტყვიერების საფრცქვმი გვამყოფებს მარად, სიხარულად განგვაკდევენებს სამყაროს მამანაც კი, როცა მარტო ხარ...

და უმნიშვნელოსი, რასაც სურს, რომ საგნად იწოდებოდეს ამ სამყაროში. პოეტურ სახეებს არ ეძებს, მას სამყაროს ეს ჭირისუფლობა უნიბობაც შეუძლია, ვფიქრობ, მანერულობისა და კექლუცობისგან დაცლილი, წყაროსთვალავით შეურყენელი აზროვნება ამ თაობის უკეთესი ნაწილისთვისაა, ჩვენგან განსხვავებით, საკუთარ თავს კი არ ინარჩუნებენ - პოულობენ!.. მარიაში დიდ სათქმელს მოუთმენად დაველოდებთ, მის პოეტურ მაჯისცემას ვცნობ. გადავაკარბებ და ლიტერატურული რემინისცენციით ვიტყვი: იგი ქართული პოეზიის ასმათი მგონია, რომელიც "დედთა გამოქვაბულში" (ეს გამოქვაბული ფრად განიერცო) ტარიელის ჩარღვეულ ჯაჭვის პერანგს ქსოვს სიმტკიცითა და სილბოთი..."

დადი სიმართლის ბინადარი - მარიაში სწორედ ასეთია. მისთვის წერა, მეღეწესობა მოდური არასოდესაა, ვერლიბრი მისი ცხოვრების მონოლოგია, იგი არტისტულად არ წერს და არტისტულად არ ცხოვრობს, მისი ლექსები დიდი

სიმბრისული სიმსუბუქით "ბენიერებას თავის ლექსებს გადასცემს" მარიაში. ის გაურბის ხმაურს, ერიდება თვითმყოფილებას, რამეთუ უწყის, "არა რომელი-იგი თავსა თვსსა ეწამებოდის იგი არს გამოცდილ, არამედ რომელსა-იგი უფალი ეწამოს".

□

მაიმბე, მუჰამედ! მაიმბე შენს ქვეყანაზე. მითხარი, როგორია, ცხოვრობდე სამყაროს ყველაზე ცხელ წერტილში, არ გაიძინებდეს ტყვიის ზუზუნნი და დაჭრულების კენესა. მაიმბე, თორემ შენი სამშობლო სისხლითმოიწვევებული ცხელი ქვიშა მგონია. მითხარი, როგორ თენდება თქვენთან, მიწასა ზედა როგორ ეფინება მზის სხივები. დღეობით, როცა ლოცულობთ, რომელ მხარეს დგებით უფლისკენ, ეგვეც მითხარი. რატომ მოთქვამენ ეს ქალები ასე ხმამაღლა? რას სთხოვენ უფალს თვალებამდე აკრული შავი ჩადრით,

ჯერ არგაჩენილი შვილის სიცოცხლეს? იქნებ საკუთარს?! იქნებ ნატრულობს ნაღმს გადაურჩეს. ანდაც პირიქით - არ გაუთენდეს. არ დაუღამდეს. აღარ შეხვდეს კიდევ ერთ სიკვდილს... რომ ვეღარ შეძლოს კიდურ-კიდურ მისი შვილის გვამის აკრეფა, მისი ქმრის მკვრდში გავლილი ტყვია ხელისგულზე რომ არ დაუდნეს. მაიმბე, მუჰამედ, შენს ქვეყანაზე და შენი ხალხის ცხოვრებაზე, როგორ აძინებთ ჩვილებს ცქცხლის ენებში, როგორია თქვენი "იავანა"? ან თუ არსებობს თქვენთვის ძილი, ფერადი სიზმრები? ფერებზე მაიმბე.

რა ფერია თქვენთვის სიცოცხლე. ღამის ცა როგორია? ვარსკვლავს რომ უყურობ, სურვილს თუ იფიქრებთ? ან იქნებ არც ჩანს ვარსკვლავები და მის სანაცვლოდ ცაში აჭრილი, გადამწვარი შენობების ბნელ კვამლს შეჰყურებთ... სხეულის რომელიღაც ნაწილში აფშველებულ შიმშილს როგორ აჩუქებთ? პატარა ბავშვებს რას პასუხობთ, როცა შოკოლადის ნატეხზე ოცნებობენ? სად მარხავეთ ნაღმზე აფეთქებულ ჩიტებს? მაიმბე, მუჰამედ, თვითონ მაიმბე შენს ქვეყანაზე. მე ხომ ყოველდღე ვისმენ მის ამბებს: "დღევანდელი ტერაქტის შედეგად დაიღუპა 140 ადამიანი... უმეტესობა ბავშვი იყო. ოჯახური ძალადობის მსხვერპლი 12 ქალია... შეიარაღებული ძალების სამხარული ცდილობს, დაარეგულიროს სიტუაცია..." ვისმენ და თქვენს შოკოლადივით მუქ კანს ვუყურებ, მზის გულზე მოპრიაღეს, სისხლით დაწინწკლულს. გადამწვარი შენობიდან გამობრის ქალი, 5 წლის ბავშვი ხელში ჯავშანფილტსა და იარაღს ათამაშებს. "ზარაკ ობაძე გმობს ყოველგვარ ტერორიზმს და წუხს მომხდარის გამო". კადრი კი იგივე ტანჯვა, წამება, ვიდაცის ინტერესებს შეწირული უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე... მაიმბე, მუჰამედ, თორემ ვუსმენ და ცარიელი თვალები დავრჩი. გაერთა სიცოცხლე. ყველაფერი შენით მაიმბე. ნუ შეიმჩნევ, თვალს რომ ვერ ვისწორებ, მეც ერთ-ერთი იმ ნაძირალათაგანი ვარ, ძალადობას რომ გმობენ, მსოფლიოს მეორე ნაპირიდან მშვიდობას ქადაგებენ და თქვენს სიკვდილის სუნით სავსე ჰაერზე... მხოლოდ ხმაურიანი რუპორტაჟების დროს ფიქრობენ...

□

ნუ დამირეკავ, დედი, ნუ მკითხავ, როგორ ვართ, როგორ მიდის ჩვენი დღეები, კალენდარზე როგორ ირხევა მორიგი დღია. ნურც აქაურ ზამთარზე მკითხავ, ვერ გიპასუხებ, ვერ მოგიფერებ, ვერ გეტყვი, რომ განაფუხლამდე გვეყოფა შემსა... და რომ ბებიაც თანდათანობით წელში იხრება, რომ ხანდახან დილის თოვამი გასულს თავსაფრის წაკვრა ავიწყდება. არ შემეკითხვი, რომელია მის თმებში მეტად, თოვლის ფიფქები თუ ჭაღარა. ნუ დამირეკავ, დედი, ნუ მკითხავ, სკოლაში რა ხდება. ვერ გაემხელ, როგორია დილის ყინავში კილომეტრების სულ მარტო გავლა. ვერ გეტყვი, რომ იმ ტყის ბილივზე ჩემი ღანდიც მამინებს ხანდახან. და რომ გუშინწინ ფეხსაცმელი ტალახში ჩამრჩა. რომ იმის შემდეგ ვეღარც წავსულვარ, რადგან ბეზარს ფეხსაცმელი ყველა დიდი მაქვს, ჩემი კი - აღარც, შენმა მზავნილმა დაივიანა. ნუ დამირეკავ, დედი, ისეც ხომ იცი, რომ სინამდვილეს მოგონებები ასჯერ უფრო აღემატება. რომ შენი სუნი როცა მაკლდება, შენი ტანსაცმლის კარადასთან მივიღივარ უხმოდ, შენს კაბებს ვიცვამ, უტყპეს მოგონებებში წასულს შენი მხრების სუნი მაფხიზლებს უშალ. ნუ დამირეკავ, დედი, მე ვერ გეტყვი, როგორია ჩემი და ბეზარს უხმო ლოცვა, როცა ორივე ცხრამთავადავლილი ემიგრანტ დედებს ვავედრებთ უფალს. ნუ დამირეკავ, დედი, მე ვერ გეტყვი სათქმელს,

სხარცია კახელები □ სპორტული შეხება ბანბაროში

ნათია ნაცვლიძე

ზაფხულის ცხელ დღეებში სამტრედიის საქადაო კლუბი “ფალაგანის” (დირექტორი არაკლი მელაშვილი) თავისუფალი სტილით მოჭიდევითა ნაკრების მწვრთნელი ვეფხია სტურუა 15 სპორტსმენთან ერთად დაბა ჩოხატაურის კურორტ ბანბაროში 15 დღიან სპორტულ შეხებაზე იმყოფებოდა. “სამტრედიის მაცნე” გეგმავს სტურუას დაუკავშირდა და აღნიშნულის შესახებ კომენტარი სთხოვა.

ვეფხია სტურუა: უკვე მეექვსე წელია, ტრადიციად დავამკვიდრე ჩემს მოსწავლეებთან ერთად ზაფხულში ორგანიზირებული სპორტული შეხება კურორტ ბანბაროში. ამ დღეების განმავლობაში სპორტსმენები წინასწარ შედგენილი სპორტული გე-

გმის შესაბამისად მოქმედებდნენ. მოსწავლეთა შორის ყველაზე პატარა სოსო მეფარიშვილი 10 წლის, ხოლო ყველაზე დიდი გასული წლის ევროპის ჩემპიონი 18 წლის ივერი ჯულაყიძეა. დღის 8 საათზე იწყებდნენ გამაძნეებელ ვარჯიშებს, შემდეგ, 11 საათზე – კროსი, საღამოს 5 საათზე ან სპორტული თამაშში, ან ფიზიკური მომზადება. შუაღელეში კეება და დასვენება. მოგეხსენებათ, ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია. ჩვენი პატარა სპორტსმენები გაეცნენ საქართველოს ამ ულამაზესი კურორტის ბუნების სიმშვენიერეს, მოგაწვევთ 4 საათიანი ლაშქრობა და ბანბაროს უმაღლეს მწვერვალზე, “მზის ამოსვლის გორაკზე, “როგორც იქაურები უწოდებენ, აისს ერთად შევეგებეთ. ეს წუთები უსათუოდ დაუვიწყარი იქნება ჩვენს ცხოვრებაში. მსგავსი შეხვედრები აუცილებელია ჩვენი სპორტსმენების შრომისუნარიანობის ზრდისათვის, მათი ფიზიკური სიძლიერისათვის”.

გვინდა მითხველს ასევე ვაცნო-



ბოთ სასიამოვნო სახლზე: სულ ახლახან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ თავისუფალი სტილით მოჭიდევითა ნაკრების მწვრთნელს, ვეფხ-

ია სტურუას და ძიუდოში სამტრედიის ნაკრების მწვრთნელ ავთანდილ თარგამაძეს საქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელის სტატუსი მიანიჭა. უულოცავთ ბა-

ტონებს ამ საპატიო წოდების მინიჭებას და ვუსურვებთ მათ სპორტსმენებს წარმატებებით არაერთგზის გაეხარებინოთ ქართველი გულშემბატიკივარი.

გორდის ლიტერატურული სალონის პრაქტიკა

20 აპრილი, შაბათი. თაკარა მზით გათანჯვრებულ ხონის რაიონის მაღალმთიან კურორტ გორდის მივაშურეთ და დაღიანების ტყე-პარკში შესულები მართლაც ამქვეყნიურ სამოთხეში მოვხვდით. ვრცელ თავადურ ენოში, მრავალსაუკუნოვანი, ბუმბერაზი ხეების ჩრდილში შეფარებული ხალხისა და ავტომობილების სიმრავლე აღარ გაგვიკვირებია, ვიცოდით, დღეს აქ ამ სოფლის მკვიდრის, ღირსების ორდენის კავალერის, ხონის თეატრის მსახიობის, შესანიშნავი ქალბატონის გულიადა სანოდის თაოსნობითა და გორდის განვითარების სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერით დაგეგმილი იყო გახსნა ლიტერატურული სალონისა, რომელმაც შემდგომ გორდში უნდა მოეხდინათ პოეზიისა და ლიტერატურის მოღვაწეები და მოყვარულები მთლიანად საქართველოდან.

ენოში მოფუსფუსე ხალხს შორის ერთ ადგილზე შენიუთებულნი საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარეს, შესანიშნავ პოეტს, თემურ ჩალაბაშვილსა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატს, გორდელ პოეტ ედუარდ უგულავას ესალმებოდნენ (ცნობისათვის, ედუარდ უგულავა გულიადა სანოდის შვილია, ხოლო მისი მეორე შვილი, იაგო უგულავას მიერ პატრიარქის კურთხევით დაწერილი წმინდა მეფის, თამარის ხატი წელს იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში დაავანეს შოთა რუსთაველის ფრესკის წინ).

სანთლებს ვანთებთ დაღიანების კარის ახლად აღდგენილ ეკლესიაში და ღონისძიებაც იწყება. უდიდესი ენერჯია, მთელი სული და გული ჩადო ქალბატონმა გულიადა სანოდემ სალონის დაარსების საქმეში და შესაშური თეატრალიბით, ომანიანად, როგორც მას სჩვევია, მიულოცა დამსწრე საზოგადოებას ეს სახლზე და, მიუხედავად

გადაღლილობისა, რომელიც ცოტაა ამ თუ შეაძინა მის უძილო სახეს, ბოლომდე მხნედ, პროფესიონალური შემართებით გაუძღვა ღონისძიებას და მაჟორულ ფორმატში მიიყვანა იგი ფინიშამდე. ეს პირველი ღონისძიება არ არის, რომელსაც ქალბატონი გულიადა თავის აღსაზრდელებთან, მხატვრული კითხვის ნორჩ წევრებთან ერთად ჩუქნის თავის რაიონსა და ახლა უკვე მთელ საქართველოს. იმედია, მომავალი შეხვედრები უფრო ფართომასშტაბიანი და ხალხმრავალი იქნება, რამეთუ უსამანო და ამოწურავია ქართველი ერის ნიჭიერება, პოეზიისადმი მისი სიყვარული.

მხურვალე სიტყვებით მიულოცა ბატონმა თემურ ჩალაბაშვილმა დამსწრე საზოგადოებას ასეთი დიდებული ტრადიციისათვის საძირკვლის ჩაყრა და თავისი რამდენიმე შესანიშნავი ლექსიც წაგვიკითხა მისთვის დამახასიათებელი პოეტური მანერითა და მგზნებარებით. შემდეგ ტრიბუნა ნორჩ პოეზიის მოყვარულებს დარჩათ. ორიგინალური პატარა დეკლამატორი ვასილ აგლაძე, მშვენიერი ზიზი ფარულაია, რეზო ჯანელიძე, გიორგი უგრეხელიძე და სხვები პროფესიონალური არტისტიზმით კითხულობდნენ ცნობილი ქართველი პოეტების ლექსებს და დამსახურებულად იხვეჭდნენ მაყურებლის ოვაციასა და სიყვარულს.

საღამოს ალამაზებდნენ და განუმეორებელ ხიბლსა და ლაზათს მატებდნენ ხონის კულტურის ცენტრთან არსებული ხალხურ საკრავთა ანსამბლი “მწვეარი” და გაუთა ფოლკლორული ანსამბლი. ბატონი დანძირ ლიპარტელიანი კი საღამოს გმირად მოგვევლინა. მის მიერ ვასილ აგლაძესთან ერთად შესრულებულმა მთიულურმა ცეცხლი დაანთო ჟამთა სიავისაგან მივიწყებულ დაღიანების ტყე-პარკში, ხოლო ექიმ-რადიოლოგ და ამავე დროს ბრ-

წვინვალე პოეტ შორენა ჩხვიციანი ერთად შესრულებულმა ქართულმა ცეკვამ ფურორი მოახდინა საღამოს მსვლელობაში.

ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გამომსვლელები. პოეტმა შორენა ჩხვიციანი თავისი შესანიშნავი ორი ლექსი ასევე შესანიშნავად და არტისტიზმით წაიკითხა, აჩუქა მსმენელს. თავის ლექსებს კითხულობდა რამდენიმე თბილისელი სტუმარი პოეტიც, ნიჭიერი მომავალი თაობა, რომლებიც გორდში დასასვენებლად იყვნენ ჩამოსულნი. ერთი ლექსი “ცოტნე”, რომელიც “სამტრედიის მაცნეში” შარშან დაიბეჭდა, თქვენმა მონა-მორჩილმა გააცნო საზოგადოებას ნიშნად იმისა, რომ დაღიანების ყოფილ მამულებში ვიყავით თავშეყრილნი და ღრმა პატივისცემა მიწოდდა გამოჩენილ ცოტნეს გმირობისადმი.

საღამო დაემთხვა შესანიშნავი პოეტის, პროფესიონალი ექიმის, წარმოშობით გორდელი, თავის მშობლიურ კუთხეზე უზომოდ შეგვარებული ქალბატონის ნია გორდელის რიგითი მეოთხე პოეტური კრებულის გამოცემას. რამდენიმე ათეული ეგზემპლარი პოეტმა თავისი ავტოგრაფით უსასყიდლოდ დაურიგა ღონისძიების მონაწილეებს. პოეტის ოჯახის წევრები რიგრიგობით კითხულობდნენ მეუღლის, დედის, ბებიის უმშვენიერეს ლექსებს, ბოლოს კი თავად ნია გორდელი წარდგა მსმენელის წინაშე და ადამიანების, სამშობლოს სიყვარულით გაჯერებული რამდენიმე ლექსი წაგვიკითხა ასევე სიყვარულითა და შესაშური ოსტატობით.

მსმენელთა შორის იყვნენ ხონის კულტურის სამსახურის უფროსი ქალბატონი მანანა გოფოძე, ხონის კულტურის ცენტრის დირექტორი ქალბატონი მინერი ონიანი, გაზეთ “ხონის” რედაქტორი ქალბატონი მაია ფეიქრიშვილი და, ალბათ, კიდევ ის

ადამიანები, რომლებმაც ქალბატონ გულიადასთან ერთად მრავალდღიანი შრომა ჩადეს ღონისძიების სწორად დაგეგმვისა და მსველელობის საქმეში და რიგით მსწველებთან ერთად უწუმრად ხარობდნენ გაწეული შრომის ნაყოფით, დიდი მადლობა მათ ამისათვის.

დასანანია, რომ სამტრედიიდან და ვანიდან, მიუხედავად ადრეული ინფორმირებისა პირადად ჩემ მიერ, გარკვეული მიზეზების გამო არც ერთი პოეტი არ დასწრებია ღონისძიებას. ასევე მინდა ბოდიში მოვიხადო ჩვენი შესანიშნავი ანსამბლის “ლაღის” წინაშე. თავიდან თითქოს შეთანხმებულნი ვიყავით ღონისძიებაში “ლაღის” მონაწილეობაზე, მაგრამ შემდგომ აპარატურის ვერმობების გამო მას ხონის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლი ჩაენაცვლა.

დასანანია ისიც, რომ ჩვენი ბევრი მეგობარი ამ დღეს ვერ მოესწრო. ანაზღად ჯემალ ტაბიძე გამახსენდა. უიშვიათესი პიროვნება, ჭეშმარიტი ხელოვანი, რომლის შემოქმედებაც უთუოდ დაამზენებდა სალონს. იმედია, შემდგომში პატივს მივაკებთ ახლად გარდაცვლილ შემოქმედს სალონის მუშაობაში საჭირო და აუცილებელი რეპერტუარ – “არდავიწყება მოგვრისას” დამატებით. რამეთუ სამხრეთს შერჩენილების ვალდებულებად მიმაჩნია, მარადისობაში გადასულ შემოქმედთა ლიტერატურული მემკვიდრეობის წარმოჩენა და არდავიწყება. მითხველს მსურს გაეახსენო ბატონი ჯემალის ერთი პატარა ლამაზი ლექსი:

კვდება მესტრო, მიილია მივარე დასავლით,
ბოლო წვეთები გამოწურა გამშრალ ბოთლიდან,
რა უდროოდ და უადგილოდ უმუხთლა ბეღმა,
კატასტროფაა – დედამიწა წყდება ორბიტას.

ერთი შედეგის დატოვება მაინც მოესწრო, დამშვიდებული წავილოდა წუთისოფლიდან, დასანანია, ყველაფერი უკვე მზად იყო, მიზნის მიღწევას ერთადერთი დამე ყოფნიდა.

საღამო დასრულდა ქალბატონი ნია გორდელის ბიზნესმენი მეუღლის, რამაზ კერძაიას მიერ მოწყობილი ფურშეტის ქართული ვარიანტით. უამრავი ნამცხვრით, ხაჭაპურითა და სხვა ხორაგეულით დატვირთულ სუფრას არც მასპინძლის მიერ დაწერილი შესანიშნავი კახური ღვინო და არც შამფურზე მადისმოგვერულად ამიშხინებული მწვადები მოჭლებია. ქართული მრავალხმიანი სიმღერა კი – ბატონი დანძირ ლიპარტელიანისა და მისი ჯგუფის წევრების მიერ შესრულებული, არ წყდებოდა და არც შეწყვეტილიყო ვიდრე ქართველი ერი იარსებებს, ესე იგი, მრავალგამიერ. ჩვენი მასპინძელი ბატონი რამაზი პოეზიის მოყვარული შესანიშნავი თამადა გახლავთ და მის სუფრაზე არც ერთი სადღეგრძელო არ ისმევა მის მიერ ომანიანად წაყითხული ლექსის გარეშე.

დასრულდა საღამო. აღსრულდა შესანიშნავი საქმე. ბალავარი ჩაეყარა ქართული პოეზიის კიდევ ერთ კერას საქართველოში. წერილს შთაბეჭდილებათა წიგნში ექვე ექსპრომტად ჩაწერილი ჩემივე ლექსით დაეასრულა:

ფუჭად აღარ ჩაუვლია შენს გმირობას, დაღიანო,
გორდში ვიყავ, შენს მამულში ქართველები დაღიანო,
აღორძინდი, გახალისდი, ჩემო ერო, დარღიანო,
დე, მარადეამს გვაძნეებდნენ, პოეზიავ მაღლიანო.

საქებათაქებო ათსაუკუნოვანი მთლიანობა

“ზომ უცილოდ დიდა რუსთველი და თანაგრძობელი მისი, მაგრამ არანაკლებად საამა-
ვლო ჩვენთვის ბოლნისის, ჯვრის, სვეტიცხოვლის, წრომის, ბედიას, მარტვილის, თიღვას, გელ-
ათის დიდოსტატები. მე ვწუხდი, რომ ასეთი შედეგების ხუროთმოძღვრებს დავიწყების ჩრდ-
ილი მიჰფენოდით სახეზე...”

კონსტანტინე გამსახურდია

“ნათელი მითი – ქალღმერთი გადმონახული”, გმირის აპოლოგიას აღმოაცენებს.
“მარტვილი და ალაშდარი” მწერალი გააცხადებს ქვაში ჩაყრულ საიდუმლოს.
გაგა ღრო.
შოგში მოხუცი ღურგალი მუხის ქვეშ მაგიდას დაუდგამს პოეტს და, როგორც თეთრწვერა მეთვალყურე
სვეტიცხოვლისა – ექვთიმე, მოპყვება იგავიუწვეფელობას დიდებული ანაგობისა.

აკვირდება “ცეცხლში გამოხვეული ტყვინი ვერანი”. მგოსანი ზეცად ააპყრობს მზერას და ლოცვასავით
წარმოთქვამს:

“მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა.
ჩემთვის დიდებული სხივი გამობრწყინდა.”
“არ არის გასაკვირი, რომ შთაგონება უწმინდეს ადგილთან მიახლებსას იშვას. ესაა “სხივი დიდებული” –
სულიწმინდის სიმბოლო. საღვთისმეტყველო სწავლებით, ხომ სწორედ სულიწმინდის შთაგონებით წერდნენ ძველ-
ად ჰიმნოგრაფები და ჰაგიოგრაფები.”

X საუკუნის ბოლოს, რაჭის საერისთავოს შექმნის შემდეგ, ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ
III-ის, ბრძანებით საძირკველი ჩაყარა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მშენებლობას.

ჯანი შეალია, “გულის სისხლი” მისცა საფასად “სასტიკ ბომონს... აწ ქვაფოფელს, ასიათასი მოკვდავის სულზე
უფრო უკვდავს” ოსტატმა!..

ხარაჩოების მთელი ტყვის, სვეტების, კოჭების, კაკუტების, ლატნების, ხარიხების, ძელების ქაოსი შემოაცალა
სრულყოფილს.

“...დაპხედა თვალმა, შეეხე ხელი, ქვა ქვაზე შესდგა, აგური აგურს წაეპოტინა, კვლეგმა მხარი მისცეს
ურთიერთს, თაღებმა კამარა შეკრეს, გუმბათმა ნაგებობა დააგვირგვინა...”

და ცას მისწვდა ლოდების უნიკალური პარმონია!
შემოქმედების ნაყოფი “გზნებით დამკარგავი გრძნულ ჩუქურთმებით” მიწას გამოადგა სამკაულად.

“...ვით დიდა თორმეტი სარკმელი,
ხაზებში ანთია ცეცხლი მისარქმელი:
ნეტა ვინ ანთო, რომ გრძობით ანთო
და წლებს გადაანდო ნათლად ნიკორწმინდა.”

1534 წელს ბაგრატ იმერთა მეფემ საეპისკოპოსო კათედრად აქცია მონასტერი: “ზვენ მეფეთ-მეფემან ბაგრატ
და თანამეცხედრემან ჩემმან დედოფალთედოფალმან ელენე... ხელ ვყავით აღმენებად დაკნინებულია მონასტრისა
ნიკოლოზ წმინდისა და შევქმენ საყდრად საეპისკოპოსოდ...”

“ათას წელს იწვიდა და იქუხა იმ დღიდან საქართველოს თავზე.
ათასეულმა წლებმა წაღიკეს ირგვლივ ყოველივე...”

“მარადის საყდარი, უზენაესის “საყუდარი” ნიკორწმინდა კი დარჩა “მხნე განძად”, ნიჭად, გენიად, “ქებად
საქართველოსი”.

შობა კაკავა



მარი კიკიბურისა და მამუკა ქნელაძის გასახეობა



გაუსაძლისია ტკივილი და მოგონება იმ დღეების, თქვენი ტრაგიკულად
დაღუპვის წუთებს რომ მოჰყვა. ფერადი სიყვარულით დაწყებული ჭრელი
ზღაპარი უბედურების ზარით შეიცვალა. არ დაგინდოთ მუხანათმა საწუთო-
რამ ლამაზები და უზომოდ ბედნიერები. ერთად სიცოცხლე და სიკვდილი
შეჰფიცეთ საკურთხეველთნ უფალს და ერთად დაიხოცენით კიდეც ერთმან-
ეთისთვის განიხილები. თან ის პატარაც წაიყვანეთ, დედობრივ სითბოს და
მამობის სიამაყეს რომ უნდა ეზიარებოთ. ძალიან ცოტა ხანი გაგრძელდა
თქვენი ცოლქმრული თანაცხოვრება, მაგრამ ის ცოტა ღრო განუსაზღვრელი
ბედნიერებით გალიეთ. თქვენი მოგონებისას თვალსმომდგარი ცრემლი განდა
შეკუმშული გულის ნუგეში. მარიამობის დღესასწაული იმიერში გვიანდა
მოვილოცოთ მარი. ღვთისმშობელმა იმ ქვეყნად დაგიფაროთ. გვენატრებით
დაუვიწყარი სიყვარულით და გაუსაძლისი ტკივილით.

მამა და მამა თამარ და მამა კირილ ანდრეასი
ცხახიძე

პროზული უნივერსიტეტის მისამირკვლა

ეროვნული უნივერსიტეტის ერთ-ერთი მესაძირკველი იოსებ ყიფშიძე
მხოლოდ 35 წლისა იყო, როცა გარდაიცვ-
ალა.

იგი დიდი ივანე ჯავახიშვილის ერთეუ-
ლი თანამოაზრე და უახლოესი მეგობარი
იყო.

პეტერბურგის უნივერსიტეტის წარმატ-
ებით კურსდამთავრებულმა მეცნიერულად
შეისწავლა და საფუძვლიანად გამოიკვლია
მეგრულ-ჭანური ენები.

დაიცვა დისერტაცია და ლექციებს კი-
თხულობდა მშობლიურ უნივერსიტეტში.


იოსებ ყიფშიძე ქართული უნივერსიტე-
ტის პროფესორთა კოლეგიის პირველი შე-
იდეულის წევრი და სწავლული მდივანი იყო.
მან პირველ დღეს, როცა უნივერსიტე-
ტი გაიხსნა, პირველმა წაფითხა ლექცია,
რომელიც უნივერსიტეტის დაარსების საყი-
თხებს ეხებოდა.

ლანთოში ყოფნისას ლანთა ბეჩაშვილმა შესძრა იოსებ ყიფში-
ძე. გაიხარა, ერთმა მოხუცმა ლანის ქალმა რომ უთხრა: “ზვენი ძველები
და თქვენი – ერთნი ყოფილანო”.

სწრაფად ითვისებდა ენებს. “სასწაულ კაცს” სწორედ ამიტომ ეძახდ-
ნენ მას მეგრელები.

1919 წელს გარდაიცვალა იოსებ ყიფშიძე.
აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა მისი სიკვდილით ეროვნულმა
მეცნიერებამ, დედა უნივერსიტეტმა.

ლევან ბაბუჯა



გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსი-
ლი ხელმძღვანელი მუშაკი ბატონი

ნორა სარგოს ძე გოგიბერიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულს ოჯახს.

ბეჟან გოგია ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი
ნორა გოგიბერიძე
და თანაუგრძნობს ოჯახს.

მუნიციპალიტეტის საერებლო და მუნიციპალიტეტის გამგეობა მწუ-
ხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ხელმძღვანელი
მუშაკი, ბატონი

ნორა სარგოს ძე გოგიბერიძე

და თანაგრძნობს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნათელა გელეიშვილი და ვაჟა ტერეშაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვა-
ლა ღირსეული სამტრედიელი, ამაგდარი პიროვნება ბატონი

ნორა გოგიბერიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.



ღური კიკვაძის გასახეობა

ღირსეული, ალალ-მართალი, სოფლისთვის საჭირო კაცი – ასე
გიცნობდა მშობლიური სოფელი. ამავეს ამბობს ყველა ადამიანი, ვისთ-
ანაც კი სიცოცხლის განმავლობა-
ში კავშირი გქონია. 40 დღე გა-
ვიდა, რაც იმიერ ქვეყნად გადახ-
ვედი და ოჯახს უდიდესი ტკივი-
ლი დაუტოვე. ძნელია, გავუმკლა-
ვდეთ შენი ამქვეყნად არყოფნის
სიცარიელეს. მუდამ ვიამაყებთ იმ
ღირსეული კაცობით, შენ რომ გი-
ცხოვრია, მარადიულ სასუფევე-
ლში დაგამკვიდროს უფალმა!



ცხახი

გარჯანია, კარგად იყავი!



ყველანი ერთად დადგენენ – მეგობრები, მეზობლები, თანაკლასელები, ნაცნობები, უცნობები და მთელი ქალაქი. ერთად დადგენენ კიდევ ერთი ახალგაზრდა სიცოცხლის საამქვეყნოდ მოსაზრუნებლად. ის გააკეთეს, რაც შესძლეს, რითაც საკუთარ წვლილს შეიტანდნენ ღირსეულ საქმეში. ადგილობრივი ძალებით ახალგაზრდებმა კონცერტი გამართეს 20 წლის თეონა უღრელიძის დასახმარებლად. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჯერად საკვალაა. მკურნალობის გაგრძელების აუცილებლობა უკვე საზღვარგარეთ, თურქეთის ძვირადღირებულ კლინიკაში გადაუდებლად სასწრაფოა. სახსრები კი ... სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ცოტაა საშუალო შეძლების ოჯახები, მათი მობილიზება მხოლოდ საკუთარი ძალებით რომ შესძლოს. თანადგომა უამისოდაც კეთილშობილების დიდი გამოხატულებაა და მით უმეტეს მაშინ, როცა იგი სასიცოცხლოდ საჭიროა, ქართველებს არასდროს ეშლება და ავიწყდებათ ხელი ხელს ჩაკვიდონ.


კულტურის ცენტრის დირექტორის, ვეფხია ნადირაძისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის, ტატა გოგუაძის ორგანიზებით კულტურის ცენტრში საკონცერტო სადამო გამართა. როგორც ჯგუფი "ლადი", მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლიდან არსებული მოუბალები "ფანტაზია", ინდივიდუალური შემსრულებლები: საბა ჩაჩუა, მერაბ გეგეჭკორი, ლეილი ივო რუხაძე, თებრანე ივანიძე და სხვები საკუთარი შემოქმედებით სცენიდან მოუწოდებდნენ დარბაზს ქველმოქმედებისკენ. თუმცა მოწოდება საჭიროც აღარ იყო. ყველა იმ დაწესებულების, ორგანიზაციის, კერძო პირის გვარ-სახელი წაიფიქრეს, ვინც თუნდაც ერთლარიანი შესაწირი გაიღო. მადლობა გადაუხადეს ადგილობრივ გამგეობასა და საერაული თანადგომისათვის.

ამჯერად მოახერხეს ის, რომ ამ კონცერტით 5 ათასზე მეტი გადარიცხეს თეონას მძის, მათე უღრელიძის სახელზე გახსნილ ანგარიშზე "საქართველოს ბანკში". ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არაა, ამიტომ დახმარების მსურველებს კეთილი საქმის საკეთებლად ასპარეზი ისევ აქვთ. მნიშვნელოვანია ყველა თეთრი და ლარი, მნიშვნელოვანია გულისხმიერება და თანადგომა. ამის შემდეგ კი სიმღერის იმ ფრაზისა არ იყოს, "ლადის" სოლისტი სცენიდან მეგობრებთან ერთად რომ მიმართავდა: "გარდუვალა, კარგად იქნები..." მზე ისევ აენთება სხივამდგარ თვალებში და ერთი თვის წინ უეცარი კრუნხვის შედეგად მართვით სუნთქვაზე მყოფი თეონა უღრელიძე, თუ საჭირო იქნა, ქვაზე მადლს დადებს უკვე სხვების დასახმარებლად! მთავარია, დახმარება კარგი საქმეების ბოლომდე მისაყვანად დასჭირდეთ მასაც და მის თანატოლებსაც.

ამჯერად კი საქართველოს ბანკში მათე უღრელიძის სახელზე გახსნილი ანგარიში GE44BG000000735881400 შეესებას საჭიროებს.

თეონა ჩვენი რედაქციისათვის უცხო არ არის. იგი ჩვენ პატარა, ცქრილა გოგო გვახსოვს. უკვე 20 წლის კი დიდ განსაცდელშია. ვუერთდებით მისადმი კეთილ სურვილებს და ჯანმრთელობას ვუსურვებთ მას!

თეონა უღრელიძე

ქართულმა პოეზიამ მედიდრად გამოიბა ლუბანი ზედ, არა ჰქონია მას კეალი და აჯარც ბეძვი, კეთილბოგანება ცნებად განზოგადდა მურმან ლუბანიძედ... მაღანი სიტყვის მეწერულ ძაღისა, ამაოდ ებრძვი.

კულოცავთ!
ბატონ ნუზარ ჯაფარიას!
 დაბადების დღეს გილოცავთ. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!
ვეფხია ნადირაძის რედაქციის კავშირში

ბატონ ნუზარ ჯაფარიას!
 გილოცავთ დაბადების დღეს, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.
 ვფარავდეთ უფალი!
"საბურავის ბავშვი"

ანდრია წიშულიას!
 ოქროსკულულებიან ცისფერთვალა ბიჭს, ძალიან საყვარელ, ცელქ და მოუსვენარ ანდრია წიშულიას დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს. ბედნიერი ბავშვობა და ნათელი მომავალი დააბედოს არსთა გამრიგემ. მზესთან ერთად ევლოს მზის დარს. ექართველოს, ევაქაცოს, ესახელებინოს მამულის მთა და ბარი! გაიხარდოს, გაიხაროს და გაგვახაროს!
"საბურავის ბავშვი"




ერთი კალათი ლილე ერეკლანიძე

რედაქციის მისამართი:
 სამბრაძია, რისაუბლიძის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაგნი
სამბრაძიის

დირექტორი ბექან გოგია
 მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაჭავაძე
 გამომშვეები რედაქტორი თეონა უღრელიძე
 პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბქანიძე
 კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე